



კოდების მინიჭების წესი

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ყველა საგანმანათლებლო პროგრამას და სასწავლო კურსს ენიჭება შიდასაუნივერსიტეტო კოდი.
2. სასწავლო კურსს კოდს წინამდებარე წესის შესაბამისად ანიჭებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.
3. ყველა სასწავლო კურსს წინ უძღვის პროგრამის აღმნიშვნელი კოდი. პროგრამის კოდირება შემდეგნაირია: სწავლის საფეხურის აღმნიშვნელ სიმბოლოს „B“-ბაკალავრიატი, „M“-მაგისტრატურა დამატებული პროგრამის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. თუ საგანმანათლებლო პროგრამა შედგება რამდენიმე კონცენტრაციისაგან საგანმანათლებლო პროგრამის კოდს ემატება „-“, სიმბოლო და კონცენტრაციის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი.
4. სპეციალობის საერთო კურსებისათვის კოდის მინიჭების წესი განისაზღვრება შემდეგნაირად: პროგრამის აღმნიშვნელ კოდს დამატებული სპეციალობის საერთო კურსის აღმნიშვნელი სიმბოლო - „g“ (სპეციალობის საერთო კურსები - specialty general courses = g) და სასწავლო კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. მაგ: სპეციალობის საერთო კურსის „სამოსის და ტექსტილის ისტორია“ კოდია: B2g3.
5. სპეციალობის ძირითადი კურსებისათვის კოდის მინიჭება ხდება შემდეგნაირად: პროგრამის/კონცენტრაციის კოდს დამატებული სპეციალობის ძირითადი კურსის აღმნიშვნელი სიმბოლო - „b“ (სპეციალობის ძირითადი კურსები - specialty basic courses = b) და სასწავლო კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. მაგ: სპეციალობის ძირითადი კურსის „ტექნოლოგია და მასალაში მუშაობა“ კოდია: B2-1b2.
თუ სასწავლო კურსი ისწავლება რამდენიმე ეტაპად (რამდენიმე სემესტრის განმავლობაში), მაშინ სასწავლო კურსის კოდს ემატება „-“ სიმბოლო და კურსის სწავლების რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. მაგ: სასწავლო კურსის „ქსოვილის კომპოზიცია 1“-ის კოდია: B2-1b1-1.
6. სპეციალობის არჩევითი კურსებისათვის კოდის მინიჭება ხდება შემდეგნაირად: პროგრამის/კონცენტრაციის კოდს დამატებული სპეციალობის არჩევითი კურსის აღმნიშვნელ სიმბოლოს „oc“(optional courses) დამატებული არჩევითი კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი.
7. საფაკულტეტო სავალდებულო კურსის კოდის მინიჭების წესი: პროგრამის აღმნიშვნელ სიმბოლოს ემატება ფაკულტეტის აღმნიშვნელი სიმბოლო: სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი - „Af“ (Faculty of Visual, Stage and Film-TV Arts - AF); მუსიკის ფაკულტეტი - „Mf“ (Faculty of Music - MF); განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - „Hf“ (Faculty of Education, Humanities and Social Sciences - Hf), კურსის აღმნიშვნელი სიმბოლო „c“ (faculty compulsory courses = c), „-“ სიმბოლო და სასწავლო კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი.
8. საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების კოდის მინიჭების წესი განისაზღვრება შემდეგნაირად: კოდის პირველ სიმბოლოდ განისაზღვრება „uc“(university compulsory course), შემდგომ ემატება სწავლის საფეხურის აღმნიშვნელი სიმბოლო „BA“-ბაკალავრიატი, „MA“- მაგისტრატურა და სასწავლო კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. მაგ: საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსის „აკადემიური წერა“ კოდია : ucBA1
9. პრაქტიკის კოდი შედგება პროგრამის კოდისა და პრაქტიკის აღმნიშვნელი სიმბოლოსაგან - „p“ (practice = p).
10. არჩევითი კურსის კოდის მინიჭება ხდება შემდეგნაირად: არჩევითი კურსის აღმნიშვნელ სიმბოლოს „oc“(optional courses) დამატებული არჩევითი კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი.
11. არჩევითი ბლოკისათვის კოდის მინიჭება ხდება შემდეგნაირად: პროგრამის/კონცენტრაციის კოდს დამატებული არჩევითი ბლოკის აღმნიშვნელი სიმბოლო - „ob“ (optional block = ob) და რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი.
12. არჩევით ბლოკებში შემავალი სასწავლო კურსების კოდირებისას არჩევითი ბლოკის კოდს ემატება „-“ სიმბოლო და სასწავლო კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი.
13. დამატებითი - minor სპეციალობის კოდირებისას პროგრამის/კონცენტრაციის კოდს ემატება დამატებითი- minor სპეციალობის აღმნიშვნელი - „m“ სიმბოლო, „-“ სიმბოლო და პროგრამის კონცენტრაციის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი.
14. დამატებითი - minor სპეციალობის სასწავლო კურსების კოდირებისას პროგრამის/კონცენტრაციის კოდს ემატება დამატებითი-minor სპეციალობის აღმნიშვნელი - „m“ სიმბოლო, სასწავლო კურსის აღმნიშვნელი სიმბოლო - „c“ (courses), პროგრამის კონცენტრაციის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი (არსებობის შემთხვევაში), „-“, სიმბოლო და სასწავლო კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. თუ სასწავლო კურსი ისწავლება რამდენიმე ეტაპად (რამდენიმე სემესტრის განმავლობაში) ზემოხსენებულს ემატება „-“, სიმბოლო და სასწავლო კურსის სწავლების რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი.
15. მასწავლებლის მომზადების პროგრამის და შესაბამისად ამ პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებისათვის კოდების მინიჭება ხდება შემდეგნაირად: სიმბოლო „T“ (Teacher), იმ ფაკულტეტის კოდი, რომელსაც მიეკუთვნება პროგრამა. მაგ: THf, ხოლო სასწავლო კურსებს პროგრამის კოდი + სიმბოლო „-“, და რიგითობის ციფრი THf-1 და ა.შ.
16. უწყვეტი განათლების ცენტრის პროგრამებზე (Continuous Education Center) – C, ფაკულტეტის აღმნიშვნელი სიმბოლო და რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. მაგ: CAF1. სასწავლო კურსებს - მოცემულ კოდს ემატება კურსის აღმნიშვნელი სიმბოლო „c“ და რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. მაგ: CAF1c5.